

იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ცენტრს  
კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და  
რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრს (ICCROM)  
ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS)  
მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM)  
ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტს (ICBS)  
ლურჯი ფარის ეროვნული კომიტეტის საერთაშორისო ასოციაციას (ANCBS)  
ევროკომისიის განათლებისა და კულტურის დირექტორატს  
ევროპის საბჭოს კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის  
მუდმივმოქმედ კომიტეტს  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობას  
ევროპის საბჭოს ოფისს საქართველოში  
ევროკავშირის მონიტორინგის მისიას (EUMM)  
ჟენევის შეხვედრის მონაწილეებს  
საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და  
სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს

## მ ი მ ა რ თ ვ ა

**საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთი) მდებარე  
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ირგვლივ შექმნილი ვითარების გამო**

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთი) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების უმრავლესობას არასწორი მოპყრობისა თუ ბუნებრივი ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრა.

განადგურებულია და კვლავაც ზიანდება უდიდესი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე უნიკალური ქრისტიანული საკულტო ნაგებობები, შუა საუკუნეების ანსამბლები, კედლის მხატვრობის უიშვიათესი ნიმუშები და უძველესი ქართული წარწერები. საფრთხე შეექმნა ისტორიული, მხატვრული და კულტურული ღირებულების მქონე ძეგლებს, სამუზეუმო ნივთებსა და სხვა ფასეულობებს. ხსენებული დაადასტურა ICOM-ის რუსეთის ეროვნული

კომიტეტის 2011 წლის შემოდგომაზე განხორციელებული მისიის ანგარიშში (31 ოქტომბერი - 5 ნოემბერი).

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთი) მდებარე ძეგლებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ნორმების უხეში დარღვევით განხორციელდა შემდეგი:

1. ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიას (XII ს.) 2009 წელს დაადგეს მისთვის არატრადიციული უცხო სხეული - პირობითად შეგვიძლია მას ვუწოდოთ „მუზარადის ფორმის გუმბათი“, თეთრად შეღებეს ფასადები და აღმოსავლეთ კედელზე დაცული ქართული ლაპიდარული წარწერები. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს გაურკვეველი სამშენებლო სამუშაოები (ნახ. №1, №2, №3);
2. ბედიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის სამონასტრო კომპლექსში (X ს.) განადგურებულია კედლის მხატვრობის უნიკალური ნიმუში (გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის ფრესკა). გვაქვს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც შემუშავებულია ძეგლის რესტავრაციის პროექტი და უახლოეს მომავალში იგეგმება ტაძრის „აღდგენა-გამაგრებითი“ სამუშაოების განახლება (ნახ. №4, №5, №6);
3. დრანდის ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსში (VI-VIII სს.) ძეგლთა დაცვითი მეთოდოლოგიის უხეში დარღვევით მე-7 საუკუნის ავთენტური სანათლავის არქეოლოგიურ ნაშთს დააშენეს რკინა-ბეტონის მონოლითური კონსტრუქცია და თანამედროვე მასალებით მოაპირკეთეს. ტაძარი თეთრად გადაიღება, დამონტაჟდა თანამედროვე მასალის კარ-ფანჯარა, არქეოლოგიური კვლევის ნორმების უხეში დარღვევით ტაძრის ირგვლივ მთლიანად მოიხსნა მიწის ფენა. მიმდინარე ეტაპზე გაურკვეველმა სამუშაოებმა სატრაპეზოში გადაინაცვლა. ვრცელდება ინფორმაცია (დაგეგმილი თუ უკვე განხორციელებული) ტაძრის გუმბათის ინტერიერის მოპირკეთებისა და მოხატვის შესახებ (ნახ. №7, №8, №9, №10);
4. წმინდა სიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის ტაძარს ჩაუტარდა „სარესტავრაციო სამუშაოები“ და მიმდებარე ტერიტორიაზე, სპეციალისტების გარეშე, განხორციელდა თვითნებური „არქეოლოგიური გათხრები“, რომლის შედეგები ჩვენთვის უცნობია (ნახ. №11);
5. ლიხნეს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი (X ს.). ტაძარში დაცულია უნიკალური XI, XIII-XIV საუკუნეების ფრესკები და 17-ზე მეტი ფრესკული წარწერა. აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტის ბრძანებულებით ტაძარს გასულ წელს ჩაუტარდა „სარესტავრაციო სამუშაოები“,

სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია ჩატარებული სამუშაოების შედეგები (ნახ. №12);

6. ქ.სოხუმთან, მდ.ბესლეთზე გადებული გახლავთ ერთმალისანი თაღოვანი ხიდი (XIII ს.). ძეგლის თავთან არსებული მონუმენტური ქვა-სტელა ქართული ტექსტით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიკარგა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ხიდის გარდიგარდმო შემორჩენილი ქართული წარწერები (დასავლეთ კიდეზე მოთავსებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა „ქრისტე მეუფეო ყოველთა..... ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატ“) დღეისთვის არ არსებობს (წაშლილია)(ნახ. №13);

სამწუხაროდ ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება მრავალი სხვა ეკლესია-მონასტერი თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელთა კონსერვაციის მდგომარეობაზე ქართველ სპეციალისტებს არ მოეპოვებათ დაზუსტებული ინფორმაცია

აღნიშნულიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია მოხერხდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მემკვიდრეობის ძეგლების სიტუაციის შესწავლა და მათი დაცვისათვის აუცილებელი სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღეისათვის არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ქართველ სპეციალისტებს არ აქვთ შესაძლებლობა, განახორციელონ აღნიშნული. შესაბამისად, წლების მანძილზე საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში აქტუალობას არ კარგავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესწავლის, მათი დაცვისთვის აუცილებელი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით საერთაშორისო მისიის მოვლინების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით:

- ❖ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციისა და რეაბილიტაციის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვის მიზნით შუამდგომლობა გაგვიწიოთ: UNESCO-ს, ICOMOS-ს, ICOM-ს, BLUE SHIELD-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ❖ ჟენევის მოლაპარაკებების დღის წესრიგში შევიდეს იუნესკოს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის შემსწავლელი საერთაშორისო სპეციალისტებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი მივლინების საკითხი, რომელიც გასწევს სისტემურ

მონიტორინგს და მიაწვდის ინფორმაციას შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს;

- ❖ ძალისხმევა არ დაიშუროთ, ჰააგის კონვენციისა და მისი მეორე ოქმის დებულების ასამოქმედებლად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

## თანადგომისთვის წინასწარ გიხდით მადლობას

მიმართვა მომზადებულია ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე. ექსპერტების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ხელმოწერები წარმოდგენილია დანართის სახით.

უდიდესი პატივისცემით,

შერმადინ შარია

აფხაზეთის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია

ვარკეთილი III, II მ/რ. კორპ. 15, ბინა 10

ტელ.: +995 322 79 71 48

მობ.: +995 93 20 40 07

ელ. ფოსტა: abypaa@yahoo.com

მანანა თევზაძე

საქართველოს ლურჯი ფარი

ნატო ცინცაბაძე

ICOMOS საქართველო

მარიამ დიდებულიძე  
გიორგი ჩუბინიშვილის სახელობის ქართული  
ხელოვნობის ისტორიისა და ძეგლთა დაცვის  
ეროვნული კვლევითი ცენტრი

ლია ახალაძე  
ისტორიის დოქტორი, სსუ ასოცირებული პროფესორი

ბეჟან ხორავა  
ისტორიის დოქტორი, სსუ ასოცირებული პროფესორი

1

# ილორის ტაძარი, XI საუკუნე



რეკონსტრუქცია, XIX საუკუნე



XIX საუკუნის დასასრული





XX საუკუნის დასასრული



XXI საუკუნე

2

# ICOM რუსეთის ანგარიში, 2011 წელი









# 4 ბედიის ტაძარი, X საუკუნე



მე-19 საუკუნე



გილგენდორფი 1938წ.



ზენკო 1987წ.



ICOM რუსეთის ანგარიში, 2011 წელი



ელსნერი (შემცირებული ჩანახატი)  
მე-20 საუკუნის დასაწყისი,  
10-იანი წლები.







ბაგრატ III, მარცხ დეოფალდეოფალი და მისი ვაჟის გიორგი დადიანი, ჩანახატი – ელსნერი, მე-20 საუკუნის 10-იანი წლები.



მეფე ბაგრატ III, გადაწერილი (განახლებული) საქტიტორო გამოსახულება. ნატალია ტოლმაჩევსკაია 1927წ.





რეპროდუქცია, პავლინოვი XIX




XIX საუკუნის 60-იანი წლები



XX საუკუნის 60-იანი წლები



XX საუკუნის დასასრული



9



მე-7 საუკუნის ავთენტური  
სანათლავის არქეოლოგიურ ნაშთი,  
2005 წელი



2013 წელი

VOA




ICOM რუსეთის ანგარიში, 2011 წელი



გუმბათი



2013 წელი



# სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი, IX–X საუკუნე, ახალი ათონი

11

XIX საუკუნის დასაწყისი



XX საუკუნის დასაწყისი



XX საუკუნის დასასრული

ICOM რუსეთის ანგარიში , 2011 წ.






XVII საუკუნის ჩანახატი



XX საუკუნის მეორე ნახევარი



# 13 ბესლეთის ხიდი, XII საუკუნე

